შ.პ.ს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შპს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს ს/კ 201990694, მდებარე ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.13 ა, მის საკუთრებაში რეგისტრირებულ 3569.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.13.07.021.313) განთავსებულ შენობა #3 (სამი) / 3 (სამი) სართულიანი ნაგებობის მიმდებარეთ დაგეგმილი აქვს ააშენოს 9 (ცხრა) სართულიანი, 7 მიწისზედა და 2 მიწისქვეშა სართულით ახალი მრავალპროფილური სტაციონარი.

პროექტის მიხედვით კლინიკის ძირითადი შენობა 9-სართულიანია, აქედან 2 მიწისქვეშ, და 7 (შვიდი) მიწისზედა, აქედან ერთი ტექნიკური სართული. სართულების ერთმანეთთან დაკავშირება ხდება ორი კიბის უჯრედის და 3 ლიფტის საშუალებით. აქედან, 1 ლიფტი სამგზავრო-სატვირთოა(1000 კგ) და დანარჩენები, საავანდმყოფოს ლიფტებია(1000 კგ). ლიფთები, თავისი ფუნქციების მიხედვით, იყოფიან ორ ნაწილად -- „სუფთა“ (პერსონალი, მნახველები, სტერილური მასალები, თეთრეული, წამლები და ა.შ.) და „ჭუჭყიანი“ (ჭუჭყიანი თეთრეული და ინსტრუმენტები, ბიომასალები, ნარჩენები, ნაგავი და ა.შ.). ტექნოლოგიური პროექტის მიხედვით შენობის სართულები გაყოფილია ფუნქციონალური სამედიცინო ზონებად, სტრუქტურული დატვირთვის შესაბამისად.

ფუნქციონალური სტრუქტურა.
კლინიკის ძირითად ამოცანებში და ფუნქციებში შედის:

-- მოსახლეობისათვის მაღალკვალიფიციური, სპეციალიზირებული სამკურნალო და საკონსულტაციო სამედიცინო დახმარების გაწევა;
-- სამედიცინო მაღალსტანდანტული გამოკვლევების ჩატარება;
--დაავადდების ადრეული გამოვლინების, დიაგნოსტიკის და რეაბილიტაციის თანამედროვე სტანდარტების და მეთოდების დანერგვა;
კლინიკაში,დამკვეთთა მოთხოვნების მიხედვით, შედის შემდეგი სამედიცინო-სტრუქტურული განყოფილებები, ბლოკები, სათავსოების ჯგუფები და განაყოფები:

1. **ვესტიბიულის სათავსოების ჯგუფი.**
2. **ამბულატორიული მიღების სამსახური.**
3. **სტაციონარი.**
4. **საოპერაციო ბლოკი.**
5. **რეანიმაციის, ინტენსიური თერაპიის და ოპერაციის შემდგომი საპალატე ბლოკი.**
6. **ცენტრალური სასტერილიზაციო და სამრეცხაო განყოფილება.**
7. **ინჟინერ-ტექნიკური სათავსოების ჯგუფი.**

სათავსოების სტრუქტურული განლაგება სართულების მიხედვით
-2 სართული:
კლინიკის -2 სართულზე განთავსებული იქნება შემდეგი სათავსოების ჯგუფები:

- **ცენტრალური სასტერილიზაციო**
- **სამრეცხაო**
- **პერსონალის გარდერობი**
- **სასაწყობო ზონა**

-1 სართული:
კლინიკის -1 სართულზე განთავსებული იქნება შემდეგი სათავსოების ჯგუფები:

- **საოპერაციო ბლოკი** -- 7 საოპერაციოზე, აქედან ორი -- 40 კვ.მ (სუფთა საოპერაციო) ერთი - 36 კვ.მ. (ჩირქოვანი) და დანარჩენები -- 36.0 კვ.მ (ზოგადი ოპერაციებისთვის)

1 სართული:
კლინიკის პირველ სართულზე განთავსებული იქნება შემდეგი სათავსოების ჯგუფები:

- **ვესტიბიულის სათავსოები** -- რეცეპშენი, გარდერობი, ვიზიტორების ლიფტები,პაციენთტა საფინანსო მომსახურების და მომსლელტთა სანკვანძები;
- **ამბულატორიული მიღების სამსახური --** 10 კაბინეტი, სხვა და სხვა პროფილის ექიმ-სპეციალისტების

2 სართული:

კლინიკის მეორე სართულზე განთავსებული იქნება შემდეგი სათავსოების ჯგუფები:

- **რეანიმაციის, ინტენსიური თერაპიის და ოპერაციის შემდგომი საპალატე ბლოკი** -- ოპერაციის შემდგომი პალატები, ,ინტენსიური თერაპია, (2 იზოლატორია);

3 სართული:

კლინიკის მესამე სართულზე განთავსებულია:

- **სტაციონარი** - ქირურგიული საპალატე

4 სართული:

კლინიკის მეოთხე სართულზე განთავსებულია:

- **სტაციონარი** -თერაპიული საპალატე სექცია

5 სართული:

კლინიკის მეხუთე სართულზე განთავსებულია:

- **სტაციონარი** - თერაპიული საპალატე სექცია

6 სართული:

კლინიკის მეექვსე სართულზე განთავსებულია:

- **სტაციონარი** - ქირურგიული საპალატე

7 სართული:

კლინიკის მეშვიდე სართულზე განთავსებულია:

- **სტაციონარი** - ქირურგიული საპალატე

შენობა გადახურულია ქანობიანი სახურავით.

ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ დადგენილებებს:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება **№01-13/ნ 2018** წლის **20** მარტი ქ. თბილისი „ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის, პრევენციისა და კონტროლის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2015** წლის **7** სექტემბრის **№01-38/ნ** ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება **№56 2017** წლის **3** თებერვალი ქ. თბილისი „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის **2010** წლის **17** დეკემბრის **№385** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება **№64 2014** წლის **15** იანვარი ქ. თბილისი ტექნიკური რეგლამენტი - სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლების სანიტარული წესების დამტკიცების შესახებ.
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება **№185 2015** წლის **24** აპრილი ქ. თბილისი სამედიცინო, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში დეზინფექციისა და სტერილიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება **№385 2010** წლის **17** დეკემბერი ქ. თბილისი სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე.
6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება **№01-76/ნ 2014** წლის **21** ოქტომბერი ქ. თბილისი „სამედიცინო ჩარევების კლასიფიკაციის განსაზღვრისა და პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2013** წლის **19** ივნისის **№01-25/ნ** ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ინსტიტუტს ახალი მშენებლობის განსახორციელებლად საკუთრებაში არ გააჩნია სხვა ფართობი და ზემოაღნიშნული ნორმების სრული დაცვით დაპროექტებისას შენობის განთავსება სხვაგვარად შეუძლებელია.